№1692 2015 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტი სამი თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის (გამოფიტული ტუფობრექჩია, ტუფო-ქვიშაქვა) მოპოვების ლიცენზიისაგან სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შემდეგ X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) სოფ. საჯავახოს მიმდებარე ტერიტორია – 1200 $მ^3$ გამოფიტული ტუფობრექჩია:

№	X	Y
1	277787	4663346
2	277789	4663352
3	277804	4663351
4	277813	4663347
5	277809	4663338
S = 0.02 ჰა		
WGS 1984;		

ბ) სოფ. ოფრეთის მიმდებარე ტერიტორია – 3500 მ^3 გამოფიტული ტუფობრექჩია:

№	X	Y
1	285554	4660049
2	285583	4660020
3	285594	4660002
4	285580	4659999
5	285581	4659979
6	285572	4659978
7	285532	4660026

S = 0.21 ჰა
WGS 1984;

გ) სოფ. გამოჩინებულის მიმდებარე ტერიტორია – 800 მ^3 გამოფიტული ტუფობრექჩია:

№	X	Y
1	277880	4660893
2	277886	4660903
3	277908	4660891
4	277901	4660880
S = 0.03 ჰა		
WGS 1984;		

დ) სოფ. ტოლების მიმდებარე ტერიტორია – 4000 მ^3 გამოფიტული ტუფო-ქვიშაქვა:

№	X	Y
1	271913	4662358
2	271946	4662349
3	271934	4662325
4	271907	4662332
S = 0.08 ჰა		

WGS 1984.

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი - სამტრედიის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა.

3. დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა, შემდეგი ოდენობით:

ა) სოფ. საჯავახოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1200 $მ^3$ გამოფიტული ტუფობრექჩიის მოპოვებისთვის - 1200 (ათას ორასი) ლარი;

ბ) სოფ. ოფრეთის მიმდებარე ტერიტორიაზე 3500 $მ^3$ გამოფიტული ტუფობრექჩიის მოპოვებისთვის - 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი;

გ) სოფ. გამოჩინებულის მიმდებარე ტერიტორიაზე 800 $მ^3$ გამოფიტული ტუფობრექჩიის მოპოვებისთვის - 800 (რვაასი) ლარი;

დ) სოფ. ტოლების მიმდებარე ტერიტორიაზე 4000 $მ^3$ გამოფიტული ტუფო-ქვიშაქვის მოპოვებისთვის - 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**